

**ჰოლოცენის პალინოლოგიური კვლევები შავი ზღვის აუზში
(შედარებითი ანალიზი)**

ელისო ყვავაძე¹, კახაბერ ბილაშვილი², ვაჟა ტრაპაძე²

ელ.ფოსტა kakhaber.bilashvili@tsu.ge;

¹საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი,
თბილისი, 0108, ნიაღვრის ქ. #4ა

²გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

შავი ზღვის ჰოლოცენის ნალექების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღნიშნული საკითხის კვლევა ჩატარდა, ასევე, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი “სესამე”–ს ფარგლებში, სადაც, ზღვის დონის რყევის დადგენის მიზნით ბოლო 10000 წლის განმავლობაში, მოხდა საზღვაო ნალექების პალინოლოგიური სპექტრის შეჯერება კონტინენტალური ნალექების არსებულ მონაცემებთან, რომელიც მოიცავს ლაგუნურ, ტბა–ჭაობის და ალუვიურ ნალექებს. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა საზღვაო და სანაპირო–საზღვაო მონაცემთა ბაზა, სადაც შევიდა, როგორც საქართველოში მოძიებული 26 პროფილი, ასევე, გამოყენებულ იქნა ბულგარეთის, უკრაინის და თურქეთის მონაცემები და კვლევის შედეგები. არსებულ მონაცემთა ამგვარმა კომპილაციამ შესაძლებელი გახადა შედარებითი ანალიზის ჩატარება, რაც აუცილებელია კლიმატის ცვლილებების შეფასებისას ლოკალურ, რეგიონალურ და ტრანსრეგიონალურ დონეზე. ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ, ჰოლოცენში ტრანსგრესიის ფაზები დამახასიათებელი თბილი კლიმატით (კლიმატური ოპტიმუმი) უფრო ხანგრძლივი პერიოდს მოიცავდა ვიდრე რეგრესიული ფაზები, როდესაც, შავი ზღვის დონე დაწევას განიცდიდა. დათბობის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი, და სათანადოდ, ზღვის ტრანსგრესიას ადგილი ჰქონდა ატლანტიურ პერიოდში, როდესაც დაახლოებით სამი ათასწლეული (8000 – 5500 ჩვ. წ–მდე), კლიმატური ტრენდი აპირობებდა ნალექების და ტემპერატურის განუწყვეტელ ზრდას. ამ პროცესმა თავის პიკს 6000–5000 წლის წინ მიაღწია, როდესაც შავი ზღვის დონე, პირველად გამყინვარების შემდეგ, რამოდენიმე მეტრით აღმატებოდა ზღვის დონის თანამედროვე ნიშნულს. მეორე, მნიშვნელოვანი, ტრანსგრესია აღინიშნება სუბბორეალურ პერიოდში, 3800 – 2400 წლის წინ, რომელიც, ასევე, უკავშირდება დათბობის პერიოდს და, როდესაც, წყლის დონე, დღეს არსებულზე, გაცილებით მეტი იყო. საქართველოში ჩატარებული პალინოლოგიური კვლევის შედეგად, გამოიკვეთა შავი ზღვის სხვადასხვა ნაწილებში მიმდინარე კლიმატური ცვლილებების და, სათანადოდ, ტრანსგრესიების და რეგრესიების იდენტური და სინქრონული ხასიათი, რაც ადასტურებს აღნიშნული ცვლილებების გლობალურ ხასიათს.